თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4918895

ნომერი: AR1740661

თარიღი : 26.03.2020

გაცემის თარიღი : 01.04.2020

გაცნობის თარიღი : 01.04.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 76ბ , (ნაკვეთი N039/032);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ბეიტრიშვილი პ/ნ 01024031682
- თბილისი ლვოვის I შეს. N 6

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1740661 განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით, ქ. თბილისში, ვაჟა–ფშაველას გამზირი #76ბ–ში (ნაკვ#039/032), ამხანაგობა ,,ვაჟა–ფშაველა 2007"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებას და ითხოვთ დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 29 მაისის #3284506 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ვაჟა–ფშაველას

გამზირი #76ბ–ში (ნაკვ#039/032), ამხანაგობა ,,ვაჟა–ფშაველა 2007"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.03.039.055) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.

2017 წლის 31 მაისის #3295641 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი (საბურთალო), ვაჟა-ფშაველას გამზირი #76ბ-ში (ნაკვეთი #039/032)-ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.03.039.063), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), დადგენილი წესით, მათი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, #01.14.03.039.055 და #01.14.03.039.063 საკადასტრო ერთეულებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდების მითითების შემთხვევაში.
